# სახალხო გაზეთი

№ 308 კვირა, 22 მაისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 308

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ორშაბათს, 23 მაისს, წლისთავზე, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი სამთავრისის სობოროში (ს. სამთავრისში) უდროოდ გარდაცვალებულის

**მარიამ** ზაქარია ამილახვრის ასულის- **ეგაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **დავით ალექსანდრეს ძე ეგაძე.** (1—604—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 22 მაისს,

გაიმართება **ლიტერატურული გასამართლება**

ილია ჭავჭავაძის თხზულებისა **კაკო ყაჩაღი**-სა.

პირველად იქმნება წაკითხული გრიმებში და ტანისამოსში იგივე „კაკო ყაჩაღი“.

მონაწილეობას მიიღებენ: გ. თაზიშვილი (კაკო), გ. ჯაბაური (მხედარი), მ. ინაშვილი (მეურმე).

II

**გასამართლება**

მონაწილეობას მიიღებენ ნაფიცი ვექილნი: თავმჯდომარე—კ. ჯაფარიძე. ბრალმდებელი—გვაზავა. დამცველები: შ. ალექსი-მესხიშვილი, ი. მაჭავარიანი. ბილეთ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. დილ. 1 ს.** გამგე **მ. თუმმალოვი.** 2

**დიდუბეში**

დიდუბის ეკლესიის ახლობლად კვირას 22 მაისს გაიმართება

**კავკასიური ჭიდაობა**

ჭიდავებენ: 1) მიხა ძურხული—სუმბატ ტერ-ფარსეგოვთან 2) გიორგი ჯიბგირი—ვერელი კრიმუშკა, 3) შაშო ვერელი—ნიკა ბაზიეროვი, 4) თედო კაკაშვილი—ვიკტორა სხირტლაძე 5) წითელი ნიღაბი—დაბალი სტეფანე, 6) გიორგი ქორდელი—ისაკა მთიული, 7) არჩილა კოჩკის-უბნელი—შიო გარეკახელი, 8) დათა ვერელი—იაკოფა საგარეჯელი, 9) ვანო თაბაგარი—ზურა ფარინდაშვილი, 10) კოტე სამადალაშვილი—ილიკო აღდგომელაშვილი და სხვანი. (2—1303—2)

**ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე**

**კომიტეტი**

აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის ივნისის 5-სა, დილის 11 საათზე **სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება** საზოგადოების წევრთა. განსახილველია:

1. ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1910 წ.
2. მოხსენება გამგე კომიტეტისა ამ ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1911 წლისათვის.
4. მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობის შესახებ.
5. საკითხები სწავლა-აღზრდისა: 1. ქალების სკოლის, 2. პანსიონის შესახებ და სხვა.
6. არჩევა გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგისა და წევრისა, ნაცვლად მათდა, რომელნიც კომიტეტიდან გამოდიან სამსახურის ვადამდე. 3—1267—3)

**კვირას, 22 მაისს, დილის 11 საათზე, შესდგება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების**

**წევრთა საერთო წლიური კრება**

ფრეილინის ქუჩაზე. ტფ. სათ.-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფასებელ კომისიის სადგომში.

კრების განსახილველი საგნები: 1. ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1910 წლამდე, 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3. საბჭოს მოხსენება წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ, 4. საბჭოს მოხსენება სალიტერატურო და სამეცნიერო კრებულის გამოცემაზე და 5. არჩევა საბჭოს და სარევ. კომისიის წევრებისა. (4—2)

**გამოვიდა და იყიდება** საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე“

ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ფასი 30 კაპ. (თვ.—1224—13)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—51)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს.

საამბულატორო ავადმყოფებს იღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დავითაშვილი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ტრემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

**ხობთლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**ხულაკოვი ა. ი.** საშშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდავათ. საფასურით. (წ.—1089—469)

**თეთრი კვირა**

შესამჩნევად ფას დაკლებით

23, 24, 25, 26, 27, 28 მაისს დანიშნულია „თეთრი კვირა“ შესამჩნევად ფას დაკლებით

**ს. მ. ჩილინგაროვის**

მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე.

საგანგებოდ „თეთრის კვირისთვის“ **დამზადებულია** უცხოეთის ახალ-ახალი რამ: ბატისტის ხალათები საზღვარ-გარეთელი—2 მ. 50 კაპეკიდან. შეკერილი და ნახევრად დამზადებული კაბები 15 მანეთიდან. ტილოს ტანისამოსი 20 მანეთიდან. ქოლგები 2 მანეთიდან. ლიფები 1 მ. 35 კაპეკიდან.

აგრეთვე: რიდიკული, ყელსახვევი, ჩულქები, ხელთათმანი, ცხვირ-სახოცი, საყელოები, ჟაბო, შვეიცარიის ნაკერები, ბატისტის მატინე და ბატისტის ქვედა ტანი, საქალო ხალათებისათვის და ნაჭრები, **შეკერილი თეთრეული ქალთათვის**

ფასები შესამჩნევად დაკლებულია. ტელეფონი № 850. (1—1302—1)

შესამჩნევად ფას დაკლებით

გამგეობა ხონის საურთიერთო კრედიტის **საზოგადოებისა**

ამით აცნობებს ბანკის წევრებს, რომ თანახმად ამა წლის 27 მარტის წლიურ საზოგადო კრების დადგენილებისა დანიშნულია საგანგებო კრება ამა წლის **29 მაისს, კვირა დღეს, დილის 11 საათზე,** ხონის ვაჟთა პროგიმნაზიის შენობაში. საგანი კრებისა:

მოხსენება წლიურ საზოგადო კრებაზე არჩეულ კომისიისა ახალ ბინაზე გადასვლის თაობაზე. (3—1290—2)

**გამგეობა**

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ მოულოდნელი არა ჩვეულებრივი

**კრება ბანკისა**

დანიშნულია **ამა მაისის 29-ს, დილის 9 საათზე,** ადგილობრივ კლუბის დარბაზში, რისთვისაც სთხოვს წევრთ, დაესწრნენ კრებას.

**განსახილველი საგნები:**

1) მიხეილ გაჩეჩილაძისაგან დაგირავებული საბეჭდავი მანქანის შესახებ.
2) იმ 900 მანეთის შესახებ, [illegible] გაცემული 1905 წ. ბანკიდან სესხად ყვირილის თეატრის ამხანაგობას და დღემდის არ არის გადახდილი.
3) საბჭოსა და გამგეობის წევრთა უთანხმოება რომელიც არის გამოწვეული გამგეობისაგან რაოდენიმე საბჭოს განაჩენის შეუსრულებლობით.
4) მიმღები კომიტეტისაგან არა სავალდებულოდ ცნობა იმ განაჩენისა, რომლითაც საბჭომ აღიარა საურთიერთო ნდობის წევრთაგან ვექსილების გაცემა არა უმეტეს 1500 მანეთისა.
5) მიცემა გამგეობისაგან როკელიმე წევრთა ჯამაგირისა პირველ იანვრიდან და არა 13 მარტიდან, როდესაც ეს ჯამაგირები იყო დანიშნული.
6) გამგეობის წევრის აბო საყვარელიძის მოხსენება.
7) გამგეობის მოხსენება ბანკის საკუთარ შენობის შეძენის შესახებ.
8) გამგეობის მოხსენება შესახებ ცენტრალურ ბანკში კრედიტის გადიდებისა. (3—1283—3)

**თეატრი „მოდერნი“** მიხაილოვის პროსპ. № 91.

უკანასკნელი საქვეყნო სენსაციური ახალი ამბავი

ერთად-ერთი საქვეყნოდ ცნობილი საერთაშორისო

**ქალთა ჭიდაობის ჩემპიონატი**

დღეს იჭიდავებს, სხვათა შორის, ჯერ უძლეველი საქვეყნოდ ცნობილი და საყოველთაო საყვარელი ატლეტი-ფალავანი **მზეთუნახავი ქ-ნი ფრიდა დამბერგი,** რომელმაც პარიზის საერთაშორისო ქალთა ჭიდაობაზე, 12 თებერვალს 1910 წ., მიიღო პირველი ჯილდო—ოქროს მენდალი ბრილიანტებით. ჭიდაობა ყოველ სეანსის ბოლოსა. (1—1304—1)

Adresse Télégraphique SANITAS

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

ТИФЛИСЪ, БАКУ, БАТУМЪ.

მიხეილის პროსპექტის განყოფილება

**გადავიდა**

რუსის სახლში, № 106, მიხეილის პროსპექტზე.

მუდამ მოიპოვება სხვა და სხვა

**საოჯახო საგნები:**

საოჯახო მაგიდა, ტუალეტი, კოსმეტიკა. პარფიუმერია, სადეზინფექციო საშუალებანი, ფოტოგრაფიები და სხვა იმ ფასში, როგორც **ერევნის მოედნის** მაღაზიაში.

Адресъ Телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

(1—1299—1)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 9—61

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზბეკის ქ. ტელეფონი N 816.

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**დ. გრეიცი**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

**ნოვიცვი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

**უკლადნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. და სავუ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ხუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

**ხულაკოვი**—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

**რუდენკო**—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ითხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბა.. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

**ყალამქაროვი**—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—48)

ვაგზლის კერძო

**სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ზ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხობთლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წლ.—1090—65)

შესამჩნევად ფას დაკლებით

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

**საავადმყოფო**

საშშობიარო განყოფილებით ექიმის

**ივ. ზოკერიასი**

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (0—1251—112)

ელექტრონისა და რენტგენის

**სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—22)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბამვილისა.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

**სტუდ.-ფილოლოგი** თანახმაა გაჰყვეს ვისმეს საზღვარგარეთ. ადრესი „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. (3—611—3)


## შირვან-ზადესთან

ეწვია დღევანდელ იუბილიარს შირვან-ზადეს, რომელმაც გულთბილად მიიღო იგი და გულახდით გაუზიარა თავისი აზრები რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო საკითხის თაობაზე.

— თქვენის აზრით, რამ დააქვეითა ლიტერატურა ამ ბოლო ხანში?

ბ-ნმა შირვან-ზადემ სთქვა: საერთოდ ეს დაქვეითება მხოლოდ სომხურსა და ქართულ ლიტერატურას არ ეტყობა. დაქვეითებულია საერთოდ უცხოეთის ლიტერატურაც და კერძოდ რუსეთისაც. ამას ბევრი მიზეზი აქვს და განსაკუთრებით კი—უკანასკნელ ხანების მოდერნიზმი. ავიღოთ მაგალითად მხატვრობა. მოდერნიზმის მამათ-მთავარი საფრანგეთში სახელ-განთქმული მატისია. იმისი სურათები თუმც ორიგინალური უჯრებითა და წერტილებით არის ნახატი, მაგრამ მაინც შეატყობთ, რომ ეს გენიოსის ქმნილებაა. მაგრამ მოდერნისტულ ნაწარმოებით საქვეყნოდ სახელის განთქმა მხოლოდ გენიოსებს და ნამდვილ ნიჭს შეუძლიან. ასეთი ნიჭის პატრონი კი ათასში ერთი თუ მოიპოვება. დანარჩენებმა მოინდომეს მისი მიმდევრობა და სურათების მაგივრად რაღაც უმსგავსი ნახატები მოგვცეს. სახის მაგივრად რაღაც ბილიკებს ვხედავთ. რუსები და ამერიკელნი, მაგალითად, ძალიან გაიტაცა ასეთმა ხელოვნებამ. ისინი ათასობით ხარჯავენ, რომ შეიძინონ ეს უმაქნისი და არაფრად ღირებული სურათები. ფრანგები კი ამბობენ: „რა გვენაღვლება, რუსებმა და ამერიკელებმა“ შემოიტანონ საფრანგეთში ფული, გაგვისაღონ მატისისტთა ნაწარმოებნი, ჩვენ შორიდან სეირს ვუყურებთ და—ჩვენ საქმეს გავაკეთებთ“.

მოდერნისტთა შორის ყველაზე უკეთეს მწერლებში,—შირვან-ზადეს აზრით—მეტერლინკია. მას უნახავს მეტერლინკის „ლურჯი ჩიტის“ წარმოდგენა და სთქვა: „ან ნაწარმოები არაფერს არ წარმოადგენს და ან მე პიესისა ვერა გავიგე რაო.

„ლურჯი ჩიტი“ რაღაც ზავშვური ფერიაა, ამგზით კი მწერლობის აღყვავება ძნელიაო.

იუბილიარის აზრით, მოდერნიზმმა იმოქმედა იმაზედაც, რომ ჩვენში ხალხი ბოლო ხანებში გულ-გრილად ეკიდება თეატრს. „ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამ იმდენად გარდაქმნა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ საჭირო იყო ბევრი საქმის ხელ-ახლად დაწყება. იმ დროს ხალხი მხოლოდ ბროშურებმა და პროკლამაციებმა გაიტაცა: სიტყვაკაზმული მწერლობა სრულიად დავიწყებულ იქმნა და ან როგორ არ დაავიწყდებოდა ხალხს, როდესაც წიგნების ხალხში გასავრცელებლად კომიტეტების ნებართვის აღება იყო საჭირო“.

ბ-ნ შირვან-ზადეს აზრით, „ჩვენ ხალხს ძლიერ ესაჭიროება მელოდრამები და აურზაურით სავსე ისტორიული დრამები. სერიოზულ დრამებთან ერთად საჭიროა გარეგნული ეფექტებით თვალ წარმტაც წარმოდგენების მმართველი თეატრი. მაგალითად „ნატ პინკერტონი“, „შერლოკ ჰოლმსი“ და თქვენი „ყარამანიანი“—ეს ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ხალხში თანდათან იწვევს კითხვისადმი სიყვარულს. დრო გამოშვებით, შიგა და შიგ უნდა შევურიოთ, რასაკვირველია, სერიოზული მოთხრობებიცა და რომანებიც, რომ მკითხველი ბოლოს მხოლოდ ამაზე გადავიდეს. ასევეა თეატრიც: ჩვენ მუდმივი სათეატრო საზოგადოება არა გვყავს. მაგალითად „ნამუსისათვის“ პირველ წარმოდგენაზე სულ სხვა ხალხი იყო და მეორედ კი—სულ სხვა. ამიტომ საჭიროა ჩვენვე შევქმნათ მუდმივი სათეატრო საზოგადოება და ეს კი მხოლოდ ხალხისაგან შეიქმნება. ხალხს კი ისევ მელოდრამებითა და თვალწარმტაც ეფექტებით უნდა შევაყვაროთ თეატრი. შიგა და შიგ ჩაურთეთ, რასაკვირველია, ადვილი დრამები და ბოლოს, დარწმუნებული ვარ, ჩვენშიც საზოგადოება ისევე მოეპყრობა თეატრს, როგორც საზღვარ-გარეთ“.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **შირვან-ზადე იუბილეი.** დღეს საარტ. საზ. თეატრში დანიშნულია სომხის ნიჭიერ მწერლის და დრამატურგის შირვან-ზადეს საიუბილეო დღესასწაული.

✦ ტფილისის მოქალაქეთა სტაროსტამ გუბერნატორს მდაბიო მოქალაქეთა საარჩევნო ოქმი და ამომრჩეველთა სია წარუდგინა.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისია უკვე შეუდგა ქალაქის სკოლების 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

✦ **მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოებამ** ვ. ა. გოროდცევს დაავალა შიმდინარე ზაფხულს საარქეოლოგიო ნანგრევების თხრის საქმის გასაცნობად, კავკასიაში წამოვიდეს. ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა პოლიციის მოხელეებს წინადადება მისცა, რომ ვ. გოროდცევს ყველგან კანონიერი დახმარება გაუწიონ.

✦ **კავკასიის საისტორიო მუზეუმის** შენობის ასაგებად გადადებულ იქმნა 366,000 მან.

✦ **პეტერბურგის მიტროპოლიტის ანტონის** ჩამოსვლა კავკასიაში საბოლოოდ გადაწყვეტილია. იგი კავკასიაში მოდის სამის თვით და სასვენებლად.

✦ **რედაქციამ მიიღო შემდეგი წერილი და ფული 200 მან.** „წარსულ კვირაში გარდამეცვალნენ დედა და ძმა. ჩვეულებრივი ქელეხი არ გადამიხდია. ამ უმიზნო ხარჯის ნაცვლად ვწირავ ქ. შ. წ. კ. გ. ს. 200 მანეთს. ეს ფული დღესვე იგზავნება ფოსტით რედაქციის სახელობაზე გარდასაცემათ დანიშნულებისამებრ. **მიხეილ დიმიტრის-ძე ნასიძე**“. ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

✦ **თავი მოიწამლა** 20 მაისს ნადეჟდა მარკოზის ასულმა ბეტონისაშვილმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 19 მაისს ტფილისში შეიპყრეს ივანე ტრეტიაკოვი და ივანე სტუპენკანი, რომელნიც ტფილისიდან გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.

✦ 20 მაისს ტფილისში შეიპყრეს 29 უპასპორტო.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **საზოგადოება „ძომავალი“.** 20 მაისს კოოპერატიულ საზოგადოების „ძომავალის“ გამგეობის წევრთა კრება მოჰხდა. რომელმაც მსჯელობა იქონია საზოგადოების მოქმედების გაფართოვების თაობაზე. არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია სამის კაცისაგან, რომელთაც დაევალა, ქალაქის სხვა და სხვა უბანში ლექციების მოწყობა კოოპერაციის შესახებ.

✦ დღეს, 22 მაისს, წმ. მამადავითის ეკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში (მთა წმინდის ქუჩა, სახლი № 18) დანიშნულია **ტფ. სამარხ კასის წევრთა საზოგადო კრება.** კრებამ უნდა განიხილოს: განვლილ წლის ანგარიში; ერთი გამგეობისა და სამი სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი ნაცვლების არჩევა; გარიცხული წევრების ხელახლად მიღება; საკითხი, თუ როდის უნდა მიეცეს მიცვალებულის პატრონს სამარხი ფული სრულად და 1911 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

### სასწავლებლებში

✦ **ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების ს მუსიკო სკოლაში.** დღეს, 22 მაისს, $12^1/_2$ საათზე გაიმართება უფასო სამუსიკო დილა ფილარმონიულ სკოლის მოწაფეთა. სამუსიკო დილაზე დასწრება შეუძლიანთ, როგორც საზოგადოების წევრთ, ისე მოწაფეთა მშობლებს და კერძო პირებსაც.

✦ 22 მაისს ტფილისში ჩამოვა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსკურსია, 2 ივნისს კი—პეტერბურგის სამოსწავლო საერობო სკოლის მოწაფეთა ექსკურსია, რომელნიც ტფილისსა და მისს მიდამოებს დაათვალიერებენ.

### სასამართლო

✦ გუშინ სამხედრო საოლქო სასამართლოში ხალხის დაუსწრებლად გაირჩა საქმე **მ. ხუციშვილისა** და **დ. გელეიაძის,** რომელთაც ბრალად ედებოდათ ს.-ფედერალისტთა პარტიის წევრობა. სასამართლომ ორივენი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა: მ. ხუციშვილს 7 წლის დ. გელაძეს კი—6 წლ. კატორღა. ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი-ვექილის თანაშემწე ბ. ანდრეევი.

✦ **ბათომიდან** საკუთარი კორესპონდენტი დეპეშით გვატყობინებს, რომ იქ დროებით სამხედრო სასამართლოს 20 მაისს გაურჩევია **ნოე მარგალიტაძის საქმე,** რომელსაც ბრალად ედებოდა 1905 წელს ოზურგეთის მაზრის უფროს ქელბაქიანის გაძარცვა. ბრალდებული, რომელსაც სიკვდილით დასჯა მოელოდა, გაამართლეს. ბრალდებულს ნაფიცი ვექილი გობეჩია იცავდა.

### სომხების ცხოვრება

✦ 7 მაისს, თავრიზის სომხეთა საზოგადოებას შირვანზადეს იუბილე გადაუხდია. მეორე დღეს გამართულა სეირნობა და სალიტერატურო დილა, სადაც მასწავლებელთა და ადირბეიჯანის ეპისკოპოზ კარაპეტს სიტყვები წარმოუთქვამთ.

✦ სახალხო სახლთან არსებულ სომხურ სექციას დაუდგენია სახალხო სახლში 5 ივნისს გამართოს შირვანზადეს იუბილე.

✦ საფრანგეთის ქალაქ მარსელში ცნობილ მოღვაწის მკრტიჩ ფორთუგალიანის რედაქტორობით უკვე 25 წელიწადია გამოდის სომხური ჟურნალი „არმენია“. ამიტომ მის პატივისმცემელთ განუზრახავთ იუბილე გადაუხადონ და კომიტეტიც აურჩევიათ.

✦ განსვენებულ მწერლის ხაჩატურ აბოვიანის საფლავზე ძეგლის დასადგმელად დაარსებულ „ჟურის“ საუკეთესოდ უცვნია და მიუღია სკულპტორის ტერ-მარუქიანის პროექტი.

✦ ქ. მარაშიდან (ზეითუნი) გაზეთ „მშაკს“ ატყობინებენ, რომ სომეხ-გრიგორიანთა, სომეხ კათოლიკეთა და პროტესტანტებს შეერთებულის ძალით საშუალო სასწავლებელი გაუხსნიათ.

✦ რამდენიმე ხნის წინად სტამბოლში ცუდის ზნეობისათვის გადააყენეს არქიმანდრიტი ტაჭატ ვოსკაიანი. ეხლა გადაყენებულს ოსმალეთის სარელიგიო მინისტრისათვის უთხოვნია, ნება მომეცით ისლამი მივიღოო.

✦ გაზეთი „ნოვოე ვრემია“ „მშაკს“ გამოეკამათა. „ნოვოე ვრემია“ ამტკიცებს, რომ სომხებს არ შეუძლიან ერის კაცის კათალიკოსად არჩევა და კიდეც რომ აირჩიონ, მთავრობა არ დაამტკიცებსო. შემდეგ „მშაკს“ კადეტების ორგანოს უწოდებს და დასძენს, „მშაკი“ დიდი ხანია ოცნებობს, რომ რედაქცია ტელეფონით კათალიკოსის კანცელარიასთან შეაერთოს, რათა კათალიკოსის მოღვაწეობის ტონის მომცემი გახდესო. ბოლოს „ნოვოე ვრემია“ ურჩევს სომხებს, კათალიკოსად ადირბეიჯანის ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი კარაპეტ ტერ-მკრტიჩიანი აირჩიონ.

✦ ქალაქ ართვინში (ბათომის ოლქი) კათალიკოსის ამომრჩეველ დეპუტატებად აურჩევიათ: მწერალი ალაიანი და მგოსანი თუმანიანი.

✦ 15 მაისს ერევანში მომხდარა საქალაქო არჩევნები. ჯერ ჯერობით 41 ხმოსანი აურჩევიათ. მათგან ხუთი თათარია, ხუთი სხვა ეროვნების და 31 სომეხია. ამათგან 21 ვაჭარი, 4 ნაფიცი ვექილი, 3 ექიმი, 6 მოხელე, 2 მასწავლებელი. დანარჩენები კომერციულ დაწესებულებათა მსახურნი.

✦ სტამბოლის სომხური გაზეთები იტყობინებიან, რომ სასუნში (ოსმალეთის სომხეთი) ქურთებს ისევ დაუწყიათ ძარცვა-გლეჯა. ეხლა ართმევენ მამულებს და პატრონებს იქედან ერეკებიან. ამას წინედ მიითვისეს მამული, სადაც სომხური ეკლესია და სასაფლაო იყო. აქაური სომხობა პატრიარქსა სთხოვს, იშუამდგომლოს სულთანის წინაშე, რათა ისინი მძარცველებისგან დაიფაროს.

### გ ო რ ი

✦ 19 მაისს ღამე სამი შეიარაღებული უცნობი შესულა გორისჯვარის ეკლესიის გალავანში, გამოუძახნიათ ეკლესიის მნათე სტეფანე გარიჭაშვილი: მლოცველები ვართო და ეკლესიის კარები გაგვიღეო, გარიჭაშვილს პატარა ეკლესიის კარები გაუღია. უცნობთ გაუტეხიათ სანთლის უჯრები და ამოუღიათ ფული. შემდეგ მეორე ეკლესიაც გაუძარცვავთ. საეკლესიო ნივთებისა და სამღვდელო ტანისამოსისათვის ხელი არ უხლიათ. მღვდელიც გაუძარცვავთ და უცემიათ, რატომ ბევრი ფული არა გაქვსო.

### პროვინცია

— **ტფილისის მაზრა.** ტფილისიდან მანგლისში ბრუნდებოდნენ მაქარ მინაიანცი, გრიკურ აკოფოვი და თათევოს მოსულოვი, რომელთაც მანგლისიდან 6 ვერსის მანძილზე „გონსარაში“ 4 შეიარაღებული კაცი დახვედრია, 60 მანეთი წაურთმევიათ და უთქვამთ მანგლისში არ განაცხადოთ თორემ დაგხოცავთო. მძარცველები ვერ აღმოაჩინეს.

— **ყარაიაზში** სარწყავ არხებთან ხანჯლით მოუკლავთ სპარსეთის ქვეშევრდომი კამბოზ-იბრაგიმ ოღლი.

— **სოფ. ყვარელში** (თელავის მაზრა) წითელა მძვინვარეობს.

— **სოფ. ტროიცკოეში** (ახალქალაქის მაზრა) შარა გზაზე ფურგუნით გადადიოდა პეტრე ტურცევი. ფურგუნი ბოძს მოედო. ცხენები დაფთხნენ და ფურგუნი გადააბრუნეს. ტურცევი სასიკვდილოთ დაიმტვრა.

# მარიამ ამილახვარი-ეგამისა

დღეს სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც სოფ. ქვემო ჭალაში (გორის მაზრა) გარდაიცვალა ახალგაზდა მარიამ ამილახვარი-ეგამისა.

დღეს გარდაცვალების წლის თავზე, მისი სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, როგორც დღევანდელი სამგლოვიარო განცხადებაც იუწყება.

დღევანდელ დღეს გავახსენებთ მკითხველებს განსვენებულის ანდერძის საქმეს.

მარიამ ამილახვარ ეგამის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქმარმა დავით ეგამემ გამოაცხადა, რომ უკანასკნელი თხოვნა გარდაცვალებულისა იყო—დაუტოვოს თავისი საკუთრება—სახლი, ვენახი და ბაღი ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიას საზაფხულო აგარაკად, ან სხვა და სხვა კულტურულ მიზნით მოიხმარონ მდაბიო ხალხის სასარგებლოდ.. ანდერძში, რომელიც კანონიერად იყო დამტკიცებული ქართული გიმნაზიის ზედამხედველ კომიტეტის სახელზე, მოხსენებული იყო, რომ საზოგადოებას არ შეუძლიან გაჰყიდოს, ან დააგიროს მამული. გაიარა თითქმის ერთმა წელიწადმა. ამ რამდენიმე დღის წინად რედაქციის მონდობილობით დავათვალიერე ქვემო-ჭალაში ეს შემოწირული მამული. მშვენიერი ახალი ორ სართულიანი სახლი 12 დიდი ოთახისაგან შესდგება. ერთის მხრიდან ვებერთელა კარმიდამოს გარეშემო არტყია მაგარი ღობე, მეორე მხრივ—3 დესეტინამდე გაშენებულია ვენახი და ბაღი. მამულის დათვალიერების დროს წინ გადამეღობა უცნობი კაცი.

— ვინა ბძანდებით, თქვენი გვარი? ვკითხე მე.

— ამ მამულის ყარაული გახლავართ, ბატონო, ჩემი გვარი პარკაძეა—მიპასუხა მან.

ვისარგებლე ამით და გამოვკითხე ყველაფერი. როგორც შეეფერება ქართველ მამულის პატრონს—ყარაულს სამი თვე ჯამაგირი არ მიუღია, რომლის შედეგსაც თავი უჩენია... ვენახი და ბაღი გაოხრებულია.. სახლიც კარგად დაზიანებული გახლავთ.. კრამიტი ბევრს ალაგს აყრილია და წვიმებს გაუოხრებია ოთახების ნახატი ჭერი..

— ბატონო, ამ მამულის პატრონი არა ჰყავს და ამიტომ გაოხრებულად არის მამული!—სთქვა ყარაულმა:—ფულს არ იძლევიან ვენახისა და ბაღის შესამუშავებლად და, აბა, რა უნდა გამოვიდეს!? მართლადაც არაფერი არ გამოვიდა..

ტფილისში რომ ჩამოვედი, გავიგე, რომ ქართულ გიმნ. ზედამხ. კომიტეტმა გადსწყვიტა გადასცეს ნაანდერძევი მშვენიერი მამული საადგილ-მამულო კომისიას:—„ჩვენ თავი არა გვაქვს მაგ მამულისა და არ გვინდაო“...

შეიძლება, საადგილ მამულო კომისიამაც ვისმეს გადასცეს.. ასე და ამ რიგად ჩვენ მამულიშვილების ნაანდერძევს ან სხვას ჩავუგდებთ ხელში, როგორც ერისთავის მამულს სოფ. ოძისში, ან კიდევ სულ დავაფრთხობთ თითო ოროლა ქართველ ქველ-მოქმედს.

**დ. კახელი.**

*) როგორც ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, ეს მამული სათავად-აზნაურო ბანკის მიერ გაგზავნილმა კომისიამ დაათვალიერა 14 მაისს და საბავშვო მუშათა მოსამზადებელ სკოლისათვის საუცხოვო და შესაფერ ადგილად უცვნიათ. რედ.

# შირვან-ზადე

(ბიოგრაფია)

დღეს მთელი სომხის ერი დღესასწაულობს თავის ნიჭიერი მწერლის 30 წლის მოღვაწეობას, ამიტომ საჭიროდა ვსთვლით მოკლე ბიოგრაფიით გავაცნოთ იგი ჩვენს მკითხველებს.

შირვან-ზადე (ალექსანდრე მინას ძე მოვსესოვი) დაიბადა ქალაქ შემახაში 1858 წელს 7 აპრილს. შირვან-ზადეს მამა ენდროს მომშენებელი იყო. განათლება დიდი არ მიუღია მეტად ჯიუტი და თვისნებობის კაცი იყო. შირვან-ზადეს დედა კი სამაგალითო ლამაზი ქალი ყოფილა. მას შემახაში „მზეთ უნახავ სონას“ ეძახოდნენ. ამასთანავე იგი სამაგალითო ადამიანი იყო. გულ-ჩვილი, კეთილი, პატიოსანი და ამიტომ შირვან-ზადეზე ძლიერი გავლენა ჰქონდა. ჯერ კიდევ ექვსი წლის შირვან-ზადეს ძლიერ უნდოდა სწავლა, მაგრამ მოსიყვარულე დედა ვერ იმეტებდა შვილს ასე ადრე სასწავლებელში მისაცემად. ამან აიძულა პაწაწა შირვან-ზადე გაპარულიყო შინიდან. ამ დროს შემახაში პროტესტანტიზმის მქადაგებელნი ბევრნი იყვნენ.

მათ სკოლებიცა ჰქონდათ. ერთ ასეთ ქადაგებლის სახელდობრ სარქისის პირველ-დაწყებითი სასწავლებელში მივიდა პაწაწა შირვან-ზადე. მშობლებიც შეურიგდნენ და იქ შეისწავლა მან წერა-კითხვა. აქ ყოფნის დროს ერთი ეპიზოდი ეხლაც ძლიერ სასიამოვნო მოგონებად დარჩენია შირვან-ზადეს:

„მასწავლებელმა მომცა გაკვეთილი და მითხრა, მოგვითხრობს პატივცემული იუბილიარი—ეს ფურცელი ისწავლე წყალივითაო („ჯურჯანეს“). მეც წავიღე წიგნი წყაროზე, ამოვხიე ფურცელი, დავასველე წყალში და მიუტანე მასწავლებელსო. ამისათვის კარგად მიმტყიპეს. მაშინ საერთოდ ძლიერ გავრცელებული იყო ცემატყეპა და, რომ ჩემ თავ-მოძულებულ ბიძას არ დაეშინებინა მასწავლებლები, ბევრი ცემა შემხვდებოდაო. პირველი ჩემი ლექსი სწორედ ამ ცემამ გამოიწვია. ლექსში გამოვიყვანე სასაცილოდ ის მასწავლებელი, რომელმაც მცემაო.

პირველ დაწყებით სკოლიდან შირვან-ზადე ძველი ლიტერატურის შესასწავლად ჯერ დიაკვანსა და მერე მღვდელს მიაბარეს დიაკვნიდან მღვდელთან, მღვდლიდან სომხის სასულიერო სასწავლებელში და აქედან შირვან-ზადე შემახის სამაზრო სასწავლებელში მოხვდა. მაშინდელი სამაზრო სასწავლებელი ეხლანდელ სამოქალაქოს უდრიდა. აქ დაასრულა შირვან-ზადემ თავისი „უმაღლესი“ განათლება. ოჯახის საქმეები თანდათან ცუდად მიდიოდა. შირვან-ზადემ მოკლე ხანში ბევრი უბედურება ნახა. ჯერ დაუკრეს ბიძა, რომელიც შემდეგ ჭრილობისაგან გარდაიცვალა; შემდეგ გარდაეცვალა ძმა და ამ უბედურებას ისიც აორკეცებდა, რომ გარშემო მხოლოდ გაჭირვებასა და სიბრიყვეს ჰხედავდა. თუმცა ძლიერა ჰსუროდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ მის მამას საქმე ცუდად წაუვიდა. ამ დროს შემოიღეს წითელი საღებავი ალიზარინი, რომელმაც სრულიად განდევნა ხმარებიდან ენდრო. მამას უნდოდა თავისი გეეტანა, შემახაში დასტოვა ოჯახი და წავიდა კუბაში (ბაქოს გუბერნია). წასვლისას ცოლისათვის განეცხადებინა, რომ იქიდან მანამდის არ დაბრუნდება, სანამ სიმდიდრეს არ შეიძენს; თუმცა ბოლომდე ღარიბადვე დარჩა და ოჯახს აღარც დაჰბრუნებია. მხოლოდ 15 წლის შემდეგ სიკვდილის ხანს შირვან-ზადე შვილი დეპეშით დაიბარა ტფილისს, სადაც უკანასკნელად ნახა ჯერ კიდევ ცოცხალი მამა. შირვან-ზადე, მამის წასვლის შემდეგ, იძულებული გახდა შემახაში ადგილობრივ საბოქაულოში მწერლად შესულიყო, მაგრამ საპოლიციო სამსახური ვერ აიტანა და ბაქოსაკენ გასწია, რათა დედა და და ერჩინა. ბაქოში შირვან ზადე დეიდასთან ჩავიდა. „დეიდამ დიდი სამსახური გამიწია განვითარების საქმეში,—მოგვითხრობს ბ-ნი შირვან-ზადე.—ეს ოჯახი ძლიერ განვითარებული და ნასწავლი იყო. დეიდაშვილები ზოგი ინჟინერი, ზოგი ძსახიობი იყო და ერთმა მათგანმა, დრამატურგმა აბელიანმა, ეხლახან დაწერა დრამა. დეიდას ოჯახში ლიტერატურის შესწავლა დავიწყე. ჯერ სომხურ წიგნებს ვკითხულობდი—აბოვიანსა და სხვას. შემდეგ რუსულ ლიტერატურის შესწავლას შევუდექი. მაშინ ბიბლიოთეკები ბაქოში არ არსებობდა და ბიბლიოთეკის დაარსება მოვიწადინე. ამ მიზნით „კაცთ-მოყვარე საზოგადოებას“ მივმართე. ამ საზოგადოებამ დახმარება გამიწია, და მეც ნაცნობებში წიგნები შევაგროვე და პირველი ბიბლიოთეკა გავხსენი“.

„კაცთ-მოყვარე საზოგადოებამ“ იგი ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნა. მაგრამ ამ სამსახურში მან დიდხანს არ დაჰყო. იმის არაკეთილსაიმედოებაში ეჭვი მიიტანეს და (მართალი რომა ვსთქვათ, დაასმინეს) თუმცა არ შეუპყრიათ, მაგრამ ჟანდარმთა გამგეობამ რამდენჯერმე ჩხრეკა ჩაატარა. „კაცთ-მოყვარე საზოგადოებამ“ ეს საკმაო საბუთად სცნო, რათა სამსახურიდან დაეთხოვნა.

შირვან-ზადე ახლა ორმაგ ბუღალტერიის შესწავლას შეუდგა და შემდეგ ნავთის სამრეწველო კანტორაში მსახურებდა. „სამსახურმა ვერ მიმატოვებინა ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფილება,—მოგვითხრობს ბ. შირვან-ზადე,—თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ვანდომებდი: ვკითხულობდი ყველაფერს, რაც კი შემხვდებოდა. გამიტაცა სოციოლოგიამ, შემდეგ ფილოსოფიამ. ამ დროს გადავიკითხე კუნო ფიშერი, ბეკონი, კანტი, ენგელსი, მალტუსი, რიკარდო, სენ-სიმონი, დავიწყე მარქსი, მაგრამ ვერა გავიგე რა და მალე თავი მივანებე. შემდეგ გამიტაცა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ. კლასიკებთან ერთად ვკითხულობდი რუსის მწერლების ნაწარმოებსაც. ჩემი საყვარელი მწერალი იყო დოსტოევსკი. უცხო მწერალთაგან ნამეტნავად გამიტაცა დიკენსმა და ბალზაკმა“..

კანტორაში მას გამოუსადეგარ მოსამსახურედ სთვლიდნენ, მაგრამ მაინც არ ითხოვდნენ. 1883 წელს შირვან-ზადე ზოგიერთ რუსის სტუდენტებს გაეცნო, რომელნიც ბაქოში იყვნენ გადასახლებული. ესენი სოციალიზმის პირველი მერცხლები იყვნენ კავკასიაში. მათ შორის იყო ერთი ულამაზო ქალიშვილიც, რომელმაც შირვან-ზადეს პირველი სიყვარულის ალი აგრძნობინა.

„გაზაფხულობით,—მოგვითხრობს პატივცემული მწერალი,—ჩვენ გვიყვარდა თათრების სასაფლაოზე გასეირნება და იქედან მუსიკის სმენა, რომელსაც ქვევით ბაღში უკრავდნენ. ისე გაგვიტაცა მე და ჩემი სიყვარულის მიზეზი საღამოს იდილიამ, რომ შემოგვაღამდა. ამ დროს ჩვენს თავზე ტყვიამ გაიზუზუნა. ვიცოდი ძე მესროლეს. ჩვენ იმავ წამსვე გავწიეთ და სასაფლაოს ქვებს ამოვეფარეთ. მაგრამ მალე ფეხის ხმა მოგვესმა და გავიქეცით. წინ ქალი მირბოდა და უკან მე. ცოტა ხნის სირბილის შემდეგ ქალი შეჩერდა და სთქვა, „აქ დიდი ხრამია“. მე ვერ შევიკავე თავი და ხრამში გადავიჩეხე. ფეხი მომტყდა და, როგორც ჰხედავთ, ეხლაც ცოტათი ვკოჭლობ“. შირვან-ზადეს პირველმა სიყვარულმა მალე გაიარა. ქალი რუსეთისაკენ გაემგზავრა და შირვან-ზადე კი დიდხანს იწვა ავადმყოფი. ამ დროს ეკუთვნის მისი პირველი კორესპონდენციები, რომელნიც იბეჭდებოდა „გოლოსში“ და „ტიფლისკი ვესტნიკში“, რომელიც მაშინდელ თავისუფალ მოაზრე ბებუთოვის ხელმძღვანელობით გამოდიოდა 1879 წლიდან შირვან-ზადემ სომხურად დაიწყო წერა და „მშაკში“ ათავსებდა კორესპონდენციებს. 1884 წელში დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა: „ცეცხლი ნავთის ქარხანაში“, შემდეგ „ნოქრის დღიური“, რომლებმაც მაშინვე მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება. 1884 წელს შირვან-ზადე ტფილისს გამოემგზავრა და აქ ყოველ-კვირეულ ჟურნალის „არძაგანკის“ რედაქტორად და მდივნად იყო. ოთხი წლის

# ქუთაისის ავ-კარგი

ეს წერილი იქნება დაბეჭდილიც არ იყოს, და ქუთაისის ბანკის რწმუნებულთა კრება დაწყებული იქნება. ყოველს კრებას არჩევნები მოსდევს და ხომ მოგეხსენებათ როგორი ინტერესით ეკიდება ქუთაისის მკვიდრი კენჭობას.

პირველი საკითხი, რომელიც იწვევს არა ჩვეულებრივ ინტერესს, თავმჯდომარის არჩევაა. ორი მებრძოლი მხარე—ბანკის გამგეობის მომხრე და ოპოზიცია ცდილობს „თავისი" კაცი ჩასვან თავმჯდომარის სავარძელში.

გამგეობის კანდიდატად ამისთანა საქმეებში აუცილებლად ასახელებენ თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს, ურომლისოთაც, როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისში არაფერი კეთდება, მაგრამ გამგეობის და მის მომხრეთა სავალალოდ თ-დი ნიჟარაძე ამ ჟამად პეტერბურგშია და, როგორც ისმის, კრების გახსნას ვერ მოუსწრებს. ეს ერთი და მეორე ისა, რომ თ-დი ნიჟარაძე ზედამხედველი კომიტეტის წევრი იყო, რომელსაც წესდების ძალით კრებაში თავმჯდომარეობა არ შეუძლია; მაგრამ ამ მხრით გამგეობამ და ძასთან თ-მა ნიჟარაძემ თითქო შეათანხმა კანონსა და ერთი თვის წინად თ-მა ნიჟარაძემ უარი სთქვა კომიტეტის წევრობაზე. ეს მით უფრო ადვილი იყო, რომ მას წრეულს სამსახურის ვადა უთავდება, ხოლო თავმჯდომარედ თ-დი დავითი რწმუნებულთა ერთი ჯგუფისათვის სასურველი კაცია.

— კი, მართალია,—ამბობენ ოპოზიციის წარმომადგენელნი, თ-მა ნიჟარაძემ თავი დაანება ზედამხედველ კომიტეტის წევრობას და ფორმალურად შეუძლიან კენჭი იყაროს კრების თავმჯდომარეობაზე, არსებითად-კი კრება უნდა შეეხოს თ-დ ნიჟარაძის მოქმედებას, როგორც ზედამხედველ კომიტეტის წევრისას და ამიტომ იგი შეუძლებელია კრების თავმჯდომარედ აირჩეს.

მართალი რომ სთქვას კაცმა, მოსაზრება კანონიერია. ამიტომ უფრო მეტი შანსი აქვს არჩევისა ოპოზიციის მიერ წამოყენებულ კანდიდატს—ბ-ნ გიორგი ზდანოვიჩს.

გარდა თავმჯდომარისა, ასარჩევია ორი წევრი გამგეობისა ნაცვლად თ-დ ალ. ლორთქიფანიძისა და თ-დ ბეჟ. წერეთლისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ. ამის შესახებ ჯერ-ჯერობით კანტი-კუნტად ლაპარაკობენ და გამორკვეული არა არის-რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თ-დი ალ. ლორთქიფანიძის სახელი ნაკლებ ლაპარაკს იწვევს და მოსალოდნელია, ხელ-მეორედ აირჩიონ.

ბანკის წარსულ წლის მოქმედებაზე ამ ჟამად ვერას ვიტყვით, გარდა იმისა, რომ ანგარიშების დაბეჭდვა ჩვეულებრივად დაგვიანდა, ზედამხედველ კომიტეტს მოხსენება ჯერ არ გამოუქვეყნებია და მაშასადამე ვერც ბანკის მოქმედებას გავეცნობოდით; ხოლო თუ კილაკავათ მიღებულ ცნობებს დავუჯერებთ, ბანკს 1911 წლ. განმავლობაში თვალ საჩინოდ გაუფართოვებია თავისი ოპერაციები.

—

P. S. ეს წერილი დაწერილი იყო, როცა მომიტანეს ბანკის წლიური და ბანკზე დარჩენილ მამულების ანგარიში. მეორე ანგარიში დიდის ყურადღების ღირსია, იგი შეიცავს 62 გვერდს. აქ მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობები ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ. განხილვა ამ წიგნისა არც ისე ადვილია; სახელდახელოდ, მკითხველის საყურადღებოდ, აღვნიშნავთ ბანკზე დარჩენილ მამულების რაოდენობას სოფლად და ქალაქად:

**დარჩენილია ბანკზე ქალაქის მამული:**

| | |
|---|---|
| თბილისში — | 25 |
| ბათუმ. და ფოთში | 27 |
| ქუთაისში — | 17 |
| ქუთ. დაბა-ქალაქებში | 15 |
| სულ — | 84 მამული. |

**სოფლის მამული:**

| | |
|---|---|
| თბილ სის გუბ.— | 3 |
| ქუთაისის მაზრაში | 87 |
| შორაპნის — | 43 |
| რაჭის — — | 7 |
| ლეჩხუმის — | 3 |
| სენაკის — — | 14 |
| ზუგდიდის — | 12 |
| ოზურგეთის — | 6 |
| სოხუმის ოლქში | 2 |
| სულ — | 177 და |

**სულ ბანკზე ირიცხება 261 მამული.**

ამის მეტს, ჯერ-ჯერობით, არც ამ მამულებზე და არც ბანკის გამგეობის მოქმედებაზე არას ვიტყვით; კრებაზე გამოირკვა ბანკის მოქმედების ავი და კარგი მხარე და მაშინ ვაცნობებთ მკითხველს დაწვრილებით ცნობებს.

ე. კ. ქ.

# ვენახების გადახმობა კახეთში

ჯერ ისევ ზამთარში, როცა სიცივე 12-° ჩამოვიდა რეომიურით, „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე შიში გამოვსთქვი, ვაზი მკაცრ სიცივეს ვერ აიტანს და გახმება-მეთქი, ნამეტნავად ნაბარში. საუბედუროდ ჩემი წინასწარმეტყველობა სავსებით გამართლდა.

**ვაზი გახმა,** ამ ორ სიტყვაში გამოიხატება ის დიდი უბედურება, რომელიც წარსულმა ზამთარმა დაატეხა თავს კახეთს. ყველამ იცის, რომ კახეთის ცხოვრების უმთავრეს წყაროს მევენახეობა შეადგენს. მასზეა მთელი მისი ბედნიერება თუ უბედურება დამოკიდებული. თუ ღვინის მოსავალი კარგია, კახელი გლეხიც წელში გაიშლება, არ მოვა, მისი ოჯახი დაქვეითდება-დავალიანდება. მაინცა და მაინც ეს არაფერი, თუ ერთ წელიწადს არ მოვიდა მოსავალი, მეორე წელს მოვა, მაგრამ ვაზის გახმობით, მას თუ სულ არა, აუცილებლივ გაუნახევრდება ცხოვრების ერთად ერთი წყარო. ვენახი დღეს ხელიდან გამოეცალა ჩვენ გლეხ-კაცს და უარესად სიდუხჭირეში ჩააგდო იგი მუხთალმა სტიქიონის ძალამ.

სადაც კი ნაბარი იყო, იქ ძველი და ახალი ვაზი დასქდა და ხმელად იქცა, არც ყამირი (დაუბარავი) გადარჩა, აქაც დედა ვაზმა ვერ აიტანა სიცივე და გახმა; უფრო დაზარალდა საფერავი. ზოგ სოფელში ისე მთლადაა ვენახები გადამხმარი, რომ $^1/_8$—$^1/_{10}$ არ გამოუტანია ფოთოლი. ბევრგან იმერლებმა მეზვრეებმა თავი დაანებეს, აიკიდეს ცარიელი გუდა ნაბადი და გულ-ხელ დაკრეფილი გაუდგნენ გზას. ბევრი მემამულე ვენახის მთელ მოსავალს უთმობს მებაღეებს, ოღონდ კი ვენახი გააკეთონ და მოწამლ მოუარონ, მაგრამ ცარიელ ვენახში ვინ დადგება. ერთი იმერელი 10 დესეტინა ზვარს აკეთებდა, ვაზის გახმობის შემდეგ შინ მიდის და თავის წილ მოსავალს 25 მან. აძლევს, მაგრამ მყიდველი არავინაა. ამისთანა მაგალითები ბევრია.

ზოგ სოფელში, სიცივისაგან ზარალი შედარებით ნაკლებია, ასე ნახევრიდამ-ნახუთალამდე. უფრო მაღლობ ადგილებში დაზარალდა ვენახები და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კახეთის სოფლები, ნამეტნავად გაღმა მხარეს სულ გომბორის მთის კალთებზე ყალთაღ ადგილებზეა გაშენებული, ადვილი გასაგებია, როგორი დიდი ზარალი უნდა იყოს. რასაკვირველია, ძნელია დანამდვილებით რისამის თქმა, მაგრამ ეს-კი აშკარაა, ორთა შუა რიცხვით რომ ავიღოთ, წლევანდელმა ზამთარმა ვენახების **ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც გამოაცალა კახეთს ხელიდან.**

თუ ძველმა ბებერმა ვაზმა ვერ გაუძლო სიცივეს, სამაგიეროდ ვისაც „პლანტაჟით" (ორპირი ნაბარი) ჰქონდა ვენახი და ამერიკული ვაზი, ყინვამ ვერაფერი დააკლო. ამისთვის ყველაზე **მეტი ზარალი** სოფლის წვრილ მემამულე—გლეხებს მოუვიდათ. ამათი **ვენახები $^1/_2$—$^1/_3$ უეჭველად გახმა**, თუ მეტი არა. ბევრმა გლეხმა ურმით მიიტანა შინ გამხმარი ვაზი. საუფლისწულო უწყებას ზარალი ან სულ არა, ან ძრიელ **ნაკლები** მოუვიდა, რადგანაც აქ პლანტაჟი და ამერიკული ვაზი აქვთ ამათ. აგრეთვე სომხების მამულებიც (ესენი ფულის წყალობით კარგად აკეთებენ) ძრიელ ნაკლებ გახმა. სამაგიეროდ თავ.-აზნაურთა მამულების ზარალი გლეხებზე ნაკლები არ არის.

ამრიგად ყველაზე მეტად ისევ გლეხი დასაჯა სტიქიონის ძალამ, რომლის წყალობით მას სიცივე და სიტიტვლე მოელის; მაგრამ საკვირველია ქართველი და ნამეტნავად კახელ გლეხ-კაცის სულგრძელობა, ყოველივე სიდუხჭირეს და სივაგლახეს ხმა-ამოუღებლივ იტანს და ითმენს, ვიდრე მეტი ჯავრისაგან ტანჯვით სული არ ამოუვა. ამოდენა ზარალი რომ სხვას ვისმე მოსვლოდა ქვეყანას თავს მოაბეზრებდა, სათხოვნელად ხელს გაიწვდიდა, შველას და დახმარებას ითხოვდა, მაგრამ იგი ამას ჩვეული არ არის და არც სხვა აქცევს ყურადღებას, პრესაც ნაკლებად უწევს ანგარიშს.

ჩვენის აზრით საჭიროა დაინიშნოს საგანგებო კომისიები, რათა სათითაოდ გამოკვლეულ იქმნას ზარალის რაოდენობა, და შესაფერისად დახმარების აღმოჩენა.

ეული.

# საღამო

(ვუძღვნი №-ს).

ხევის ნიავი ნელის ქოლვით, იდუმალ კვნესით,
თრთოლვით დაჰფრენდა შეფოთლილ,—ტყეს შკების სავანეს;
სალ მთისა წყარო დაშვებული ზვირთთა კისკასით
ნაზად ჰქსელავდა ხავერდოვან მინდორსა მწვანეს...

* * *

გიჟმაჟი ჭავლი, შერხეული სიოს ამბორით,
ვითა მიჯნური, ხავსიან კლდეს ეხუტებოდა;
მზე დამავალი ტბას მკრთალ სხივებს ესროდა შორით,
და მის ლურჯ მკერდზე ცის ემბლემა იხატებოდა!

* * *

ნელ ნელ ფრთას შლიდა ღამის ბინდი, ღამის წყვდიადი,
და მის კალთებზე ნათელს თვალი ეხუჭებოდა;
თუმც თან მოჰქონდა კაეშანი, მწარე ნაღველი,
მაგრამ ისიც კი ჩემსა გრძნობას შვებად რჩებოდა,—

* * *

რადგან სოფლიდან განდევნილი, ბედისა გერი,
ცხოვრების მთაზე ზევსთა კვნესას დავუგდებდი ყურს,
ღამის სტიქიონთ იდუმალ ფრთებს გადავყვებოდი
და იქ ვპოვებდი მწუხარ გულის მწუხარე სადგურს!..

ს. ფაშალიშვილი.

# მოწერილი ამბები

**დ. სურამი.** დაბა სურამი ცოტათი გამოფხიზლდა, რადგან მოაგარაკეებმა ნელ-ნელა იწყეს ჩამოსვლა. სახლის პატრონებიც დასუფთავებას შეუდგნენ და სხვა წლებთან შედარებით დიდი სისუფთავეა. ქუჩებში „გრეკინის" სისტემის ფარნებია. მარტში ხმა გავრცელდა, მთელი დივიზია ჯარისა საგარაკოდ მოდიოსო. სახლის პატრონები მაშინვე სახლების შეკეთებას შეუდგნენ, საქათმეებიც კი შეღესეს და გაასუფთავეს. ახლა კი დანამდვილებით გაიგეს, რომ ჯარი აღარ მოდის და ყურები ჩამოყარეს. სახლების დაქირავება ახლა ზომიერ ფასებში შეიძლება.

ერთად-ერთი გასართობი სურამისა „პარკი" ნელ-ნელა სუფთავდება და იმედია დაასუფთავებენ მოაგარაკეთ. წელს „პარკის" მოიჯარადრემ [illegible] სამხედრო მუსიკა მოიწვია.

სურამის დრამატიული საზოგადოება არსებობს მხოლოდ სახელით და საქმით კი არაფერს აკეთებს. მთელი ზამთარი ისე გავიდა, რომ ერთი წარმოდგენა არ გაუმართავს, თუმცა შეეძლო ადგილობრივ კლუბში მოეწყო სცენა. ამას თავი დავანებოთ; ახლა ხომ არის გამართული სცენა პარკში?

არც სურამის სამკითხველოა სანუგეშო მდგომარეობაში, მხოლოდ სამი ადგილობრივი გაზეთი მოდის და ისინიც სისტემატიურად იკარგება; შეუძლებელია წინა დღის გაზეთის გადათვალიერება, რადგან აღარ მოიპოვება. სამკითხველო არც ისე ღარიბია, რომ ერთი ან ორი სტოლიჩნი გაზეთი არ გამოიწეროს, მაგრამ იგი სურვილით დაწესებულებად გადაქცეულა; ხან ერთი ხარჯავს მის ფულს, ხან მეორე და დროზედ კი არ შემოაქვთ. ძველ სამკითხველოს თხზელს გამგეს 150 მან. დაუდგა, ნაწილი შემოიტანა, ნაწილი სხვებზე გადაიტანა და 30 მან. კიდევ შემოსატანი აქვს. რას უყურებენ სამკითხველოს ახალი გამგენი რატომ არ მოსთხოვენ ფულს, ვისაც რამდენი მართებს.

წელს აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს, რადგან ხანგრძლივი გვალვების შემდეგ წვიმები მოვიდა.

მეთვალყურე.

—

**სურები** (ოზურგეთის მაზრა). ამ დღეებში სურებს ესტუმრა მთავრობის მამასახლისი ხუთი ჩაფრით; ეხლან კიდევ სამ ჩაფარს, რადგანაც თანახმად მთავრობის განცხადებისა ჩაფრები რვა იქნება ჩამოყენებული. ამას გარდა, 7-ათას მანეთით დაჯარიმებასაც გვპირებენ. მიზეზი ამ ახალი სასჯელისა გახლავს ორი ვაჟბატონი დეზერტირი. ეს ყმაწვილები კარგი ხანია, სალდათობას გაექცნენ შეიძინეს ყალბი განთავისუფლების ბილეთები და ერთხანს თავისუფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ გაუგეს და დევნა დაუწყეს. საზოგადოებამ უთველი მისგან დამოკიდებული ზომები მიიღო: აირჩია კაცები, რომლებსაც დაავალა, რამე ნაირად მოენახათ და დაერწმუნებინათ, რომ მთავრობას გამოცხადებოდნენ; დაავალა ვექილებს, თუ საზოგადოებას დაუჯერებდნენ და წასვლას გადაწყვეტდნენ, 400 მანეთს ასესხებდნენ და ამ ფულით დახმარებოდნენ მათ, შემდეგ კი ამ ფულების გადახდას თვით საზოგადოებისათვის უნდა დაეკისრათ; დაჰპირდნენ, რომ მთელი საზოგადოება ან მისი სახელით არჩეულნი პირნი ეცდებიან იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე მოსალოდნელ სასჯელის შესამსუბუქებლად. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა ამ ვაჟბატონებზე, არაფერმა იმოქმედა.

დღეს კი მათის მეოხებით, საზოგადოება ცეცხლშია მიცემული ამათ საზოგადოების თხოვნა-მუდარა არა თუ არაფრად არ ჩააგდეს, არამედ ერთ მათგანს ესეც უთქვამს: წასვლით წავალთ, მაგრამ ჯერ კარგათ უნდა გავანჯღრიოთ სოფელი და მერმე კი წავალთ. ამასაც არ კმარობენ და საზოგადოების იმ პირთ, რომელთაც ან რამ უთქვამთ ან რამე ზომა მიუღიათ მათ გამოსაცხადებლად, სიკვდილს ემუქრებიან.

ვინმე.

# რუსეთი და ოსმალეთი

**გაზეთებიდან.**

**ოსმალეთის პასუხი.**

ოსმალეთის მთავრობასაც რუსეთისათვის სიტყვიერი პასუხი გაუცია, როგორც რუსეთმა გაუგზავნა ოსმალეთს ნოტა. აი პასუხიც:

„რუსეთის ნოტის მიღებაზე ოსმალეთის მთავრობა გაჰკვირდა და დაღონდა, რადგანაც ნოტა საქმის სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ამ უკანასკნელ დროს ჩერნოგორიამ ისე დაიწყო მოქმედება, რომ საყვედურის ღირსი იყო, მაგრამ ოსმალეთის მთავრობა ჩერნოგორიას დღევანდლამდე ბევრს უთმობდა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ოსმალეთს ჩერნოგორიისადმი არავითარი მტრული განწყობილება არა ჰქონია. ოსმალეთთან ნორმალურ კავშირის აღდგენა ჩერნოგორიაზევეა დამოკიდებული."

—

პეტერბურგში ჰფიქრობენ, უეჭველია ავსტრიის მთავრობამ დიპლომატიურად მხარი დაუჭირა ოსმალეთს, რომელმაც კარგად იცის, რომ დიდი სახელმწიფონი ბალკანეთის საქმეებზე ერთი აზრისანი არ არიან. ამას გარდა ერთი რამ კიდევ აკვირვებს რუსეთის დიპლომატიას: რად მოხდა ისე, რომ გერმანიის მთავრობამ რუსეთის მოთხოვნილებას უპირობოდ მაინც არ დაუჭირა მხარი? რუსეთის დიპლომატიას საკმარისი საფუძველი ჰქონდა გერმანიისაგან მეგობრული დახმარება მიეღოთ.

**ოსმალეთის პარლამენტში.**

16 მაისს ოსმალეთის პარლამენტის კრებაზე დიდი ხმაურობა და ყვირილი იყო. კრება აურ-ზაურით დამთავრდა. ამ აურ-ზაურში მონაწილეობას იღებდნენ მინისტრები, თვით დიდი ვეზირიც კი. ამ დღეს ოსმალეთის პარლამენტმა მთავრობას შეკითხვა წარუდგინა რუსეთის ნოტის თაობაზე. შეკითხვა ქ. იზმიდის დეპუტატმა ხაფიზ-იბრაჰიმ-ეფენდიმ შეიტანა. შეკითხვაში ნათქვამია:

მიუხედავად რუსეთის ნოტის მეგობრულ კილოსა, შეუძლებელია ყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ ნოტა საგანგებოდ უფრო ადრე გვაცნობა, ვიდრე ამას რიფაატ-ფაშა [illegible] ამას გარდა საერთაშორისო [illegible] ეწინააღმდეგება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის შინაურ საქმეებში ჩარევა. ჩვენ ვეკითხებით რიფაატ-ფაშას: რა პასუხი გასცა რუსეთის ელჩს".

პირველად ილაპარაკა ქ. ალეპოს დეპუტატმა ალი-ჯენაი-ბეიმ:

— რუსეთის ელჩმა ძალიან უზრდელი კითხვა მოგვცაო სთქვა ორატორმა: ჩერნოგორიაზე თავ-დასხმა ხომ არა გსურთო? ჩვენ უკანვე ვუბრუნებთ რუსეთს კითხვას, ე. ი. რუსეთს ხომ არა ჰსურს, რომ ოსმალეთს თავს დაეცეს? რუსეთის საყურადღებოდ იმასაც დავუმატებ, რომ ოსმალეთს ეხლა ძლიერი მთავრობა და ძლიერი ჯარი ჰყავს. რიფაატ-ფაშამ არსებითად აგვიხსნას რუსეთის მოქმედება, რომელიც უმადლესად უსამართლო და უწესოაო.

შემდეგ თვით ინტერპელიანტმა ხაფიზ-იბრაჰიმ ეფენდიმ ილაპარაკა:

— რუსეთის ქცევა ძალიან საეჭვოა,—სთქვა მან.—რუსეთის ფულს და თოფებს გარდა, რომელიც აჯანყებულ ალბანელებს ეგზავნება, ახლა რუსეთის დიპლომატიაც გვაყენებს ახალ შეურაცხყოფას. მისი ეხლანდელი ქცევა ძალიან მაგონებს მის მოქმედებას 1877 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ.

დაე, იცოდნენ რუსებმა, რომ სისხლის საღვრელად მზადა ვართ (ტაში). რუსეთის დიპლომატიას არა ჰსურს შეიგნოს, რომ რუმელიაში ჯარი იმიტომ გაიგზავნა, რომ იქ სულთანი მიბრძანდება (ხმები ოპოზიციონერებისა. „სულთანი სკუტარში არ მიდის". ხმა ცენტრიდან: „სულთანმა თუ ისურვა, ცეტინიეშიაც ისე წავა, როგორც თავის სასახლეში".)

შემდეგ სალაპარაკოდ გამოვიდა გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა:

— არავის არა აქვს უფლება ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიოს. ეს ყველასათვის ცხადია. ამის და მიუხედავად, ბ. ჩარიკოვმა სიტყვიერად გადმომცა რუსეთის ცნობა, რომელიც რუსეთის სააგენტოს მიერ გადმოცემულ ნოტას არ შეესაბამება. პორტამ რუსეთს ღირს ეული პასუხი გასცა. ამ პასუხით ნათლადა სჩანს, რომ ოსმალეთს მხოლოდ აჯანყების ჩაქრობა ჰსურს.

რიფაატ-ფაშის შემდეგ ილაპარაკა დიდმა ვეზირმა. მისი ნალაპარაკევიდან სჩანს, რომ იგი დარწმუნებულია უკანასკნელ არეულ საქმეებში ოსმალეთი გამარჯვებული დარჩება. კენჭი უყარეს ორ საკითხს: 1) მთავრობის განმარტება დასაკმაყოფილებლად ვიცნოთ და 2) მოვითხოვოთ დამატებითი განმარტებაო.

აი, ამ კენჭის ყრის დროს საშინელი ხმაურობა ასტყდა.

მიზეზი ის იყო, რომ ოპოზიციის დეპუტატები არ ალაპარაკეს. ბერძენი დეპუტატი ბუსიოსი ბოქაულებს კენჭისაყრელ ყუთების დარიგებას უშლიდა. საქმეში ჩაერივნენ მინისტრები: ხალილ-ფაშა, რიფაატ-ფაშა და დიდი ვეზირი ხაკილ-ფაშა. გაჩნდა მუშტი-კრივი, გინება, ყვირილი, კენჭის საყრელი ყუთები იატაკზე ცვიოდა. დიდმა ვეზირმა და ბუსიოსმა მუშტი კრივი გამართეს. ხხუბში მონაწილეობა მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრმა რიფაატ-ფაშამ და ბუსიოსის მეგობრებმა. სამარცხვინო სცენა ძალით შეაჩერეს. ოპოზიცია სრული კრებულით დარბაზიდან გავიდა. დარჩა მხოლოდ 135 დეპუტატი, რომელთაც კენჭის-ყრაში მონაწილეობა მიიღეს. ერთხმად მიიღეს პირველი წინადადება. კრება ყვირილით და ხმაურობით დასრულდა.

**ოსმალეთის ჯარი**

ოსმალეთის სამხედრო წრეები რუსეთის წინააღმდეგ ძალიან აღელვებულნი არიან. სამხედრო სამინისტრო განქარებით ჰკიდულობს საომარ მასალასა და სურსათს. ყველა მხრიდან მოითხოვა, შეგვატყობინეთ რამდენი სურსათი გვაქვსო. ტრაპიზონში სამხედრო სურსათი გაიგზავნა. სურსათი არზრუმში მივა. მახმუდ-შევკეთ-ფაშას აუარებელი წერილები მოსდის ოფიცრებისაგან. იწერებიან, დაუყონებლივ გამოუცხადე ომი ჩერნოგორიას და სხვა სახელმწიფოებსაც, მათ რიცხვში რუსეთსაც, რომელიც ჩერნოგორიას მხარს უჭერსო. მახმუდ-შევკეთ-ფაშა არას ამბობს, რადგანაც ოსმალეთი ომისათვის საკმაოდ მომზადებული არა ჰგონია. კავკასიის საზღვ-

—

შემდეგ, უთანხმოებისა გამო, თავი მიანება რედაქციას და ქალაქის გამგეობაში შევიდა.

აქ საუცხოვო კურიოზი მოვახდინე,—მოგვითხრობს შირვან-ზადე,—ხუთი საათი უნდა მემუშავნა და ისე ცოტა სამუშავო იყო, რომ 15 წუთამდე ჩამოვიყვანე. შემდეგ გამგეობამ ჩემი თანამდებობის გამოუსადეგრობა დაინახა და გააუქმა. მე კი ერთდროულად 300 მანეთი მომცეს და დამითხოვეს".

ამ ფულით 1895 წელს შირვან-ზადე რუსეთს გაემგზავრა. იქიდან დაბრუნების დროს ოდესაში შეიპყრეს 1897 წელში და ორი წელი ციხეში განმარტოებით გამოამწყვდიეს. სომხის რევოლუციონურ ორგანიზაციაში მონაწილეობას აბრალებდნენ. 1899 წლამდე ციხეში გაატარა.

შირვან ზადემ რიგ რიგად გამოაქვეყნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებნი, რომლითაც სახელი გაითქვა. დაიბეჭდა „ნამუსი", „არამბინი", „არსენ დიმაქსიანი", „ცეცხლი", „მელანია" და მისი უდიდესი რომანი „ხაოსი", რომელშიაც თითქმის ყოველ ერის წარმომადგენელი ჰყავს გამოყვანილი „ქაოსი" მის ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება. ბევრი მის ნაწარმოებთაგანი თარგმნილია უცხო ენებზე. ქართულადაც რამდენიმე ნაწარმოებია გადათარგმნილი.

ბოლოს შირვან-ზადემ დრამატურგობასაც მიჰყო ხელი, მაგრამ პირველი მისი დრამა „კნეინა" კარგი ვერ გამოდგა; შემდეგ ისეთი დრამები დასწერა, რომელთაც ჩვენ რეპერტუარშიაც საპატიო ადგილი უჭირავს.

შირვან-ზადე სომხურ ლიტერატურაში რეალურ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელია. მისი მოთხრობების სიუჟეტები აღებულია ქალაქის ცხოვრებიდან იმ უიმედო მდგომარეობის გამომხატველი, რომელსაც მდაბიო ხალხი განიცდის.

პატივცემული იუბილიარი სრულიად ჯანსაღია, შუა-ხნის კაცია და იმედია მეზობელ ერის ლიტერატურას კიდევ ბევრს საუცხოვო ნაწარმოებს შესძენს. მით უმეტეს, რომ 50—53 წელი სწორედ კაცის ის ხანია, როდესაც მისი ნიჭი უმწვერვალეს განვითარებამდის აღწევს ხოლმე. ამიტომ ვუსურვებთ მცხოვან მწერალს თავის ერის საკეთილდღეოდ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

სტ.

რეზზე მდგარ ჯარის მდგომარეობა სხვა ჯარებისაზე უარესია. აქ ისეთი ყაზარმებია, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელია. სტამბოლში კი რუსეთის საწინააღმდეგო პროკლამაციებს არიგებენ. ხალხი ამ პროკლამაციებს გატაცებითა კითხულობს. თუმცა რიფაატ-ფაშა დაჰპირდა ჩარიკოვს, ამ პროკლამაციების გავრცელებას მოვსპობთ, მაგრამ დაპირება არ შესრულდა.

**რუს მეზღვაურთა გალახვა სტამბოლში.**

16 მაისს, ერთ ტრაქტირში გემ „ნიკოლოოზის" მეზღვაურნი ისხდნენ. გვერდით გაუარა ერთმა მთვრალმა ოსმალო ოფიცერმა. როცა რუსებს მიუახლოვდა, წაიბორძიკა და დაეცა. წაქცეულმა ყვირილი ასტეხა, მიშველეთ, მეზღვაურნი რუსები არიანო. მისცვივდნენ მეზღვაურთ და ცემა დაუწყეს. ერთი მატროსი გარდაიცვალა. ორი სიკვდილის პირადაა. პოლიციამ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია. დამნაშავენი მიიმალნენ.

# მახლობელი აღმოსავლეთი

(დეპეშები)

**ჩერნოგორია და ოსმალეთი.**

**ცეტინიე.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს უსაუბრია ტომანოვიჩთან, რომელსაც უთქვამს, რომ ოსმალეთმა ორი ბატალიონი ჯარი შეჰკრიბა სკუტარიის ტბის სამხრეთით მდ. ბოიანამდის, იქ, სადაც არც აჯანყებაა და არც საზღვარია შემოფარგლულიო. სხვა ორი ბატალიონი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით სდგას მდ. ტარის პირად. ჩერნოგორიის მინისტრს თავის სტამბოლელ ელჩისათვის მიუწერია, ეს ამბავი ოსმალეთის მთავრობას შეატყობინე და სთხოვე, რომ ჯარი საზღვარს მოაშოროსო.

**ცეტინიე.** 18 მაისს, ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზი ოსმალეთის ელჩსა სწვევია და შემდეგ ორივეს ერთად მთელი ქალაქი ცეტინიე შემოუვლია. ჩერნოგორიის სხვა და სხვა ადგილას მოწვეულია სათადარიგო ჯარი, რომელთაც თოფები დაურიგდა. უსკიუბში სულთანის დასახვედრად ბატონიშვილი მირკო მიდის.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს უსაუბრია ჩერნოგორიის სამხედრო სამინისტროს მოსამსახურეებთან. მათის აზრით, მდგომარეობა ძალიან მშვიდობიანია. ოსმალეთს ჩერნოგორიის წინააღმდეგ აქტიურად ერთი ბიჯიც არ გადაუდგამსო. ჯერ არა ყოფილა შემთხვევა, რომ ოსმალეთის ტყია ჩერნოგორიის საზღვარზე გადასულიყოს. სამოსაზღვრო დამოკიდებულებანი საუკეთესოა. პოდგორიცის მახლობლად, უდაბნო ადგილას, სადაც სურსათის შოვნა ძნელია, ოსმალები სურსათს პოდგორიცაში წყნარად ჰყიდულობდნენ. ალბანელებიც მიდიან სავაჭროდ. აჯანყებულთა მოსაზღვრე ადგილს $2^1/_2$ როტა იცავს და ალბანელთა მომხრე თავისუფალ მეომარ ჩერნოგორელებს. აჯანყებულებთან არ უშვებს ზემოდ დასახელებული მოსამსახურენი ომისათვის მიზეზს ვერა ჰხედავენ და მთებში გარეკილ ალბანელთა მდგომარეობა უბედოდ მიაჩნიათ. ჩერნოგორიის სამხედრო მინისტრს ტომანოვიჩს კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ რიფაატის მიერ ოსმალეთის პარლამენტში ნათქვამ სიტყვისა არარა მრწამს, ოსმალებს არა ერთხელ მოვუტყუილებივართო. ოსმალეთი ჯარს ჩერნოგორიისაკენ იმიტომა ჰგზავნის, რომ თავის ხალხის ყურადღება შინაურ უწესოებებს აარიდოს და სხვა მხრით მიაქციოსო. მინისტრი დარწმუნებულია, რომ ოსმალები ჩერნოგორიის მიწა-წყალს პოდგორიცის ახლო-მახლოს დაიჭერენ. რიფაატი რომ თხოულობს, საზღვრები ეხლავე შეჰკარითო, შეუძლებელია. ეს საქმე დიდძალ ჯარს მოინდომებს. ტომანოვიჩი ირწმუნება, რომ ალბანეთის საქმეში ჩერნოგორიას არავითარი ავანტიურა არ გაუწევიაო.

ჩერნოგორიაში არის სამხედრო პარტია, რომელსაც ომი ჰსურს, მაგრამ ყოველივე მნიშვნელობა დაჰკარგაო.

**უსკიუბი.** ცუცინიეში 18 მაისს ოსმალეთის სამხედრო პირები და ჩერნოგორიის კომისია მისულა; ამათ ოსმალეთ-ჩერნოგორიის სამოსაზღვრო დამოკიდებულებანი უნდა გამოარკვიონ.

**ცეტინიე.** ოსმალებმა ეზერის საყარაულო დაიჭირეს. აქ 1910 წ. ოსმალების სიმაგრე იყო, მაგრამ აშალეს, რადგანაც საზღვარი არ იყო გამორკვეული. ოსმალები, როცა ეზერს იღებდნენ, ჩერნოგორიის საზღვრებისაკენ თოფს ისროდნენ; ჩერნოგორელებმა პასუხი არ გასცეს და ამიტომ საქმე არ გართულებულა.

**ოსმალეთი და ბოლგარეთი.**

დეპეშები.

**სტამბოლი.** ბოლგარეთ-ოსმალეთის საზღვრებზე მომხდარ შეტაკებამ სერიოზული შიში გამოიწვია. ოსმალეთის და ბოლგარეთის დამოკიდებულება, ბოლო დროს ნაძალადევსა ჰგავდა, მაგრამ მოლაპარაკება ისე მიდის, რომ იმედია საკითხი მშვიდად გადასწყდეს. თუმცა 17 მაისს ოსმალეთის საზღვრების ყარაულებმა დევბაირთან ბოლგარელებს თოფი ისევ დაუშინეს. სროლამ დიდხანს არ გასტანა. არც ბოლგარელებს უპასუხნიათ.

# რუსეთი

**ილიოდორეს დეპეშა**

სასულიერო წრეები ბევრსა ლაპარაკობენ ილიოდორის დეპეშის შესახებ, რომელიც ილიოდორს სინოდის ახალ ობერ-პროკურორის საბლერისათვის გაუგზავნია. ილიოდორი სწერს:

„ვულოცავ ჩემს თავს და მართლ-მადიდებელ ეკლესიას წმ. ვლადიმირის პირველ ხარისხის ორდენსაო".

**მინისტრი და მედუქნენი**

ვაჭრობისა და ფინანსთა მინისტრს მოსკოვში ღვინით მოვაჭრეთა დეპუტაცია წარუდგა და ამ კანონ-პროექტის შეჩერება სთხოვა. ვაჭრებს ყველაზე მეტად პროექტის მე 18-ე მუხლი აწუხებს. ამ მუხლის ძალით მაგარ სასმელებით ვაჭრობა უქმე დღეებში სრულებით აკრძალულია და სავაჭრო დღე კვირა და უქმეში შემოკლებული. მინისტრს ვაჭართა თხოვნა ყურადღებით მოუსმენია და უგრძნობებია, რომ პროექტის შეჩერება სათათბიროში შეუძლებელიაო, ხოლო სახელმწიფო საბჭოს იმედი კი შეიძლება იქონიოთო.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

20 მაისი.

**საზღვარ-გარედ**

**პარიზი.** მონისი უკეთაა.

**ლონდონი.** ფრენის ბილლის მიღების შემდეგ პალატის სესია 13 თიბათვემდის შესწყდა.

გრეიმ სთქვა, მოსკოვში პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლაზე მოლაპარაკება არ გვქონიაო.

**სტამბოლი.** პალატამ მთავრობას დასტური მისცა ახალ სესხის აღებას, რომლითაც ამ წლის ხარჯებ უნდა დაჰფარონ.

ხმა გავრცელდა, პალესტინაში ებრაელთა საწინააღმდეგოდ მოძრაობა დაიწყო და კუნძულ ხიოსზე ბერძენთა ბრბო მივიდაო. მთავრობამ ეს ხმები უარჰყო.

**ნიუ-იორკი.** მანაგუიდან იტყობინებიან: ლალომას ციხის ნანგრევებიდან 117 დახოცილი კაცი ამოიღეს. აფეთქებას პოლიტიკურ შეთქმულებას აწერენ. დედა-ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა. პრეზიდენტად ნამყოფ ესტრადის მრავალი მომხრე დაატუსაღეს.

**სტამბოლი.** გერმანელი პროფესორი რიხტერი, რომელიც ბერძენმა ყაჩაღებმა მოიტაცეს, წერილებით იტყობინება, ყაჩაღები კარგად მექცევიანო და სთხოვს მთავრობას საჭირო გამოსასყიდი ფული მიეცითო.

**პარიზი.** ჯაშუშობისათვის რუესა და მემონს ორი წლით ციხე და ჯარიმად 375 მ. მიუსაჯეს, პალიეს—სამი თვით ციხე.

**ცეტინიე** ოსმალეთის ელჩის სიტყვით, ეზერის სადარაჯოზე მომხდარ სროლის საქმე გამოირკვა, დამნაშავენი დაისჯებიანო.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო, 1911 წ. 2 მკათათვეს სარატოვში სტაროობრიადცების კრება მოიწვიონ.

სამხედრო მინისტრმა შეიმუშავა და დასასკვნელად ფინანსთა სამინისტროს გადასცა დროებითი წესი საფრენ სკოლის მოსამსახურეთა და მათი ოჯახების დაზღვევისა.

**კრონშტანდტი.** გარდაიცვალა გაზეთების ძველი თანამშრომელი არტილერიის პოლკოვნიკი სობენნიკოვი.

**მოსკოვი.** გუბერნატორმა გახსნა წვრილ კრედიტის დაწესებულებების წარმომადგენელთა კრება.

**კიევი.** ქალაქის შუა გულში დაინგრა სახლი. ნანგრევებმა მოჰკლა სტუდენტი, დასჭრა გიმნაზიელი; მეზობელი სახლიც დაინგრა ინჟინერი—მშენებელი დამალვას აპირებდა, მაგრამ დაიჭირეს.

**კრასნოიარსკი.** აღმოსავლეთიდან სამხედრო მინისტრმა გაიარა.

**მაკარია.** სამ სოფელში 72 სახლი დაიწვა. ცეცხლმა იმსხვერპლა ოთხი კაცი და ოთხი ბავშვი.


# განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**ექ ი მ ე ბ ი:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურის, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. ავახაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ვ. ზეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—41)

**„სამპსონინი"**

**თმებისათვის**

სამხრე მქ. ლლღიძის

იყიდება ელისბედის აფთიაქში (ჩუბინიშვილის და ელისაბედის ქუჩების კუთხე).

(წ.—1152—6 5)

**მუხრანის ქერძო**

**სამკურნალო**

**გ ა ი ხ ს ნ ა**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე

**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 ძანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646.** 100—5 (0—1003—76)

**სუსუნატის წინააღმდეგ**

**ახალი წამალი**

**„SALO-პიჩილინი"**

ხწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი ძნელად ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

**აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.**

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.

კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.

Могдль. 12429. (45—1014—15)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

**პიროგებით:**

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრედვე პოლივალნი ინსტიტუტისა, მიიღეს **პერეგზამენოვკიანეგსაც.**

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მაწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზეებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **მიიღებენ მასწავლებლები** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველს შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Авчальская ул. д. № 4. кв. 4 противъ вокзала въ Нахаловкѣ. **„ხოდი—პადიეზდიდან".**

(9—1084—2)

**საკერავი მაშინა**

**ზინგერის კომპანიისა**

**იყიდება**

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ

ხელის მაშინები ფასად

1 მანეთიდან 25 მანეთიდან

КОМПАНIЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—26)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

**თავშესაფარი**

**ბებია-ქალის**

**თუხარელისა.**

ოლგას ქ., ხაზების ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—92)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7ს. ლოვინის პროსპ. N 12, ახლი მდ.

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

**ჭრა-კერვის**

**● წ ი გ ნ ი ●**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 60 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გამოართმევა. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Щкола кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—40)

იყიდება ყველგან

**საუკეთესო ღირსების**

**და ნადუღი წყლისაგან დამზადებული**

**პურის კვასი**

**„ბემო"**

კვასი „ბ ე მ ო" იყიდება ყველგან. ბოთლი 10 კაპ., ნახევარ ბოთლი 5 კაპ. პირდაპირ ქარხნიდან წამღებ მუდმივ მხმარებელს მიეცემა ყინულში გაციებული და ფას დაკლებით. ქარხანა იმყოფება: ვერაზე, ბელინსკის ქ. № 13, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მახლობლად. (15—1281—5)

მოითხოვეთ ყველგან

**ალექსანდრე**

**თაბაგრის**

**მ ა ღ ა ზ ი ა შ ი**

**საკერავი და საქსოვი**

**მაშინები,**



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის ხიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდ-ზედ, აგრეთვე ნისიათ, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. **მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში.** გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—23)



**გაიხსნა ახალი ღვინის სავაჭრო**

**ამხანაგობა**

**„კ ო მ ე ტ ა"**

დოლის მელიქოვის ქუჩა, პუშკინის ბაღის პირდაპირ, სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

გვაქვს ნამდვილი შუა გულ კახეთის ღვინოები ყველა საუკეთესო ზვრებიდან.

ჩვენ გვსურს ყოველს ჩვენგან მყიდველს დავალევინოთ ნამდვილი ყურძნის წვენის ღვინო ხელ-მისაწვდენ ფასებში.

| | |
|---|---|
| * ბოთლი 15 კაპ. | *** ბოთლი 25 კაპ. |
| ** „ 20 კაპ. | **** „ 30 კაპ. |
| | ***** — 40 კაპ. |

**გარდა ამისა მომეტებული ნომერი ერთ მანეთამდის.**

ვინც ვედრობით იყიდის ღირებული პროცენტი დაეთმობათ.

პატივისცემით **ამხანაგობა.**

(10—1234—10)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ქეჩელოვების**

**● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიიღებულია ღვინის ორაგული**

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

**ყოველი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.**

**და ბოლ-ჩაიბი 50 კ.**

(წ.—1063—)


სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული. რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.